საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთაწმინდა

მთაწმინდა, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მთიულეთის ქედის ჩრდ.-აღმ-ით ვიწრო, მოგლუვებულ თხემზე, თეთრი და შავი არაგვის ხეობებს შორის (იხ. სტ-ები მთიულეთის არაგვი და *გუდამაყრის არაგვი*) სიმაღლე - ზ. დ. 2759 *მ*. აგებულია იურული და ცარცული ასაკის ფლიშური ნალექებით. კალთები შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით, თხემური ნაწილი - სუბალპური და ალპური მდელოებით.